# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 585

22 ნოემბერი
"---" -------- 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს" (ს/ნ. 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე" ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ლოჯიკ გრუპის" (ს/ნ. 205201191) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127[2] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-76 დადგენილებით დამტკიცებული წესის 3[1] მუხლის მე-4 პუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს" (ს/ნ. 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე" ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ლოჯიკ გრუპის" (ს/ნ. 205201191) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 ნოემბრის №24.1917.2155 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს" (ს/ნ. 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე" ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს" (ს/ნ. 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებულ „შპს „სპორტის სასახლის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე" ხელშეკრულებაში (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და

შპს „ლოჯიკ გრუპის“ (ს/ნ. 205201191) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 ნოემბრის №24.1917.2155 განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ (ს/ნ. 205201191) შორის 2007 წლის 08 მაისს გაფორმებული „შპს „სპორტის სასახლის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის თხოვების სახით (მართვის უფლებით) გადაცემის თაობაზე“ ხელშეკრულებით (სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის №2450/1) ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე დასაკისრებელი/ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, ამავე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შპს „ლოჯიკ გრუპის“ გათავისუფლების საკითხზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე